



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

1 მილიონი სმარტ ქულა და მოგზაურობა ოცნების ქალაქში –

თიბისი ბანკში ვიზა ბარათების ფესტივალი დაიწყო!

პრესრელიზი

თბილისი, 3 დეკემბერი, 2010 წ. – დღეს თიბისი ბანკში ვიზა ბარათების ფესტივალი დაიწყო. ფესტივალის ფარგლებში ძვირფასი პრიზებით დაჯილდოვდება თიბისი ბანკის ვიზა ბარათების 100 მომხმარებელი. მათ შორის, მთავარი პრიზის მფლობელი თიბისი ბანკისგან 1 000 000 სმარტ ქულას მიიღებს, მეორე პრიზის მფლობელს კი საჩუქრად გადაეცემა 2 კაციანი საბზუში ოცნების ქალაქში.

ვიზა ბარათების ფესტივალი 3 დეკემბრიდან 31 იანვრამდე გაგრძელდება და მასში ავტომატურად მიიღებს მონაწილეობას თიბისი ბანკის ნებისმიერი ვიზა ბარათის მფლობელი, რომელიც ამ პერიოდში ბარათით გააკეთებს მინიმუმ 5 ლარის ოდენობის შენაძენს საქართველოს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ან ინტერნეტში. ხოლო ის ფიზიკური პირები, რომლებიც გაერთიანებული არიან თიბისი ბანკის სმარტ კლუბში, შენაძენის გაკეთებისას გაორმაგებულ ქულებს მიიღებენ. ასევე გაორმაგებულ ქულებს მიიღებენ ის მონაწილეებიც, რომლების ტრანზაქციას თიბისი ბანკის ტერმინალებში გააკეთებენ.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba 1

სს „თიბისი ბანკი“ დაფუძნდა 1992 წ. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. ბანკის აქციონერები: IFC, DEG, EBRD, FMO, JP Morgan, Ashmore და ქართველი კერძო პირები.

ვიზა ბარათების წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი საკმაოდ მრავალფეროვანია. ორი მთავარი პრიზის გარდა, რომელიც 1 მილიონ სმარტ ქულას და ოცნების ქალაქში მოგზაურობას გულისხმობს, გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები: Mak book Pro, Iphone 4, IPAD, ლოპოტას ვაუჩერი, ასევე სასაჩუქრე ვაუჩერები მაღაზიებში: „ელიტ ელექტრონიკსი“, „სვინი“, „ვულე ვუ“, „ადრესი“ და „ბენეტონი“.

თიბისი ბანკმა ვიზა ფესტივალის განხორციელება 2004 წლიდან დაიწყო და დღემდე წარმატებით აგრძელებს ამ ტრადიციას. ამ ხნის მანძილზე, ფესტივალის შედეგად, ძვირფასი პრიზები მიიღო თიბისი ბანკის ვიზა ბარათების 400-მდე მფლობელმა. მათ შორის ყველაზე იღბლიანებს კი, მსოფლიოს სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილას მოგზაურობის საშუალება მიეცა.

ფესტივალის გახსნაზე თიბისი ბანკმა Shopping მარათონი მოაწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ჟურნალისტებმა:

ნანუკა ჟორჟოლიანი – ტელეკომპანია „იმედი“
ეკა მიშველაძე – I არხი
გვანცა დარასელია – ტელეკომპანია „რუსთავი 2“

მარათონის მონაწილეებმა 30 წუთის განმავლობაში გუდვილის 7 სხვადასხვა სექციიდან აირჩიეს 1000 ლარის ღირებულების პროდუქცია. მარათონის გამარჯვებული გახდა ნანუკა ჟორჟოლიანი, რომლის ნავაჭრი პროდუქციის ჯამური ღირებულება, თამაშის დროის ამოწურვის შემდეგ ყველაზე მეტად მიუახლოვდა ფიქსირებულ თანხას – 1000 ლარს. გამარჯვებულს საჩუქრად, მის მიერ შერჩეული ნივთებით სავსე სამომხმარებლო კალათა გადაეცა, ხოლო ეკა მიშველაძემ და გვანცა დარასელიამ თიბისი ბანკისგან საჩუქრად 500 ლარის ოდენობის პროდუქციით სავსე სამომხმარებლო კალათები მიიღეს.

